



# პრსენალი



№ 25 (95). 11 - 24 დეკემბერი, 2009. საჰაერო-ანალიზიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

1425  
2009

**რეკორდსმენი  
შვეულფორენები**

**როგორი  
უნდა იყოს  
თავდასაცვითი  
ნაბეზობები**

**შვეულფორენი  
დედაქალაქის  
განსაგებრებლად...**

**„მისგრალი“  
თუ „სოგოლი“?**

**ისრაელის  
გამოცდილება...**





Boeing-ის  
საბრძოლო  
ლაზერული  
თვითნაკეთი  
ბომბები  
გაანადგურა

5



ყველაფერი  
დედაქალაქის  
გისაგებრებლად

7



ყველაზე  
დიდი გვირგვინების  
შეუღებობები

30

გერმანული  
„საზანკო მუზი“ სემ  
განსახიერებები  
Panzerfaust 3

52



საზღვაო  
განსახიერებები  
ალეგო  
გარტოვანი  
რაქეტა

46



იარაღი  
ალტერნატიული  
მინის  
მსხვერპლთათვის

36



# სარჩები

- 4** ახალი ამბები კალიდოსკოპი
- 5** ყველაფერი დედაქალაქის გასამაგრებლად დამკვირვებლები
- 7** რომელი უფრო ძლიერია – „მისტრალი“ თუ „სობოლი“? კონსულიტატიური კავშირი
- 8** ჯავახიური მოვლენების მიმოხილვა... კავშირი
- 10** საქართველოს საგარეო დაზვერვა – მითი და რეალთა საესპანურა
- 11** LIMA-2009 ესპანოზონა
- 13** თავდაცვითი ნაგებობები სამხედრო ხელმძღვანელები
- 17** უკრაინული „აღფა“ არქიტექტურა
- 20** ტანკები ლოკალურ ომებში: კორეიდან ცხინვალის ომამდე ჯანდაცვა
- 25** ერთი უცნობი გმირის ამბავი ბიოგრაფია
- 30** ყველაზე დიდი ტვირთმანქანების შვეულმფრენები კონსტრუქცია
- 36** იარაღი აღთქმული მიწის მცხოვრებთათვის გეოგრაფია
- 40** „შაერი-მინა“ კლასის მართვადი რაკეტები საავიაციო შეიარაღება
- 46** სახლვითი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა საზღვაო შეიარაღება
- 48** ძველი ხომალდების დიდი პრობლემები ფლოტი
- 50** აქსესუარები სტილი
- 52** გერმანული „საგანკო მუშტი“ სამ განსახიერებაში Panzerfaust 3 „არსენალის“ იარაღის მაღაზია

## კვლევითი სვეტი

ოკუპირებული აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე ბოლო დღეებში განსაკუთრებით აქტიურობენ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ეგიდით მოქმედი მესაზღვრეები. ისინი ოჩამჩირის პორტში აპირებენ აღადგინონ ის ინფრასტრუქტურა, რომელიც საბჭოთა მესაზღვრეებს ჰქონდათ. ეს კი აფხაზ სეპარატისტებსა და რუს ოკუპანტებს საშუალებას მისცემს, უფრო ოპერატიულად მოახდინონ რეაგირება სოხუმისკენ მიგრირებული კანონდამრღვევი გემების ქართული სანაპირო დაცვის მიერ დაკავების შემთხვევაში.

ყოველფეხ ეს კი ზრდის იმის საფრთხეს, რომ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ქართველი და რუსი საზღვაო მესაზღვრეების შეიარაღებული შეტაკება მოხდეს.

*ირაკლი ალადაშვილი  
გიორგი შორაშვილიანი*

ყარაღუბაში  
გამოიწერეთ „არსენალი“  
და მიიღეთ შინ,  
ორ ჯვირაში ერთხელ!  
ტელ: 38-26-74;  
38-26-73

რედაქციის დაუკითხავად  
მასალების გადაბეჭდვა  
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად  
7.12.2009

გაზეთ „ჯვირის პალიტრის“  
დამატება ©  
რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებოძის ქ. №49.  
ტელ: 38-37-47  
სარეკლამო განყოფილება:  
ტელ: 37-78-07; 38-78-70  
email: arsenal@kvispalitra.com  
ჟურნალი გამოდის  
ორ ჯვირაში ერთხელ  
პარასკევს

# ინდოეთმა 20 ნაღონადმი 265 МиГ-21-ი დაკარგა

МиГ-27



უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ინდოეთის ტერიტორიაზე 265-მა МиГ-ის მარკის გამანადგურებელმა განიცადა კატასტროფა, რომლის დროსაც დაიღუპა 96 სამხედრო მოსამსახურე და 44 სამოქალაქო პირი.

სტატისტიკის თანახმად, ყველაზე ხშირად МиГ-12-ების ავიაი ხდება. ამის გამო მათ „მფრინავ კუბოებს“ უწოდებ-

ენ. ახლა ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალების პარკში არსებული 450 МиГ-21-იდან მუშა მდგომარეობაში 150-160-მდე თუ მოვრუდდება. მიუხედავად ამისა, ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა არ აპირებს მათ ჩამოწერას, რადგან გამანადგურებელი ესკადრილები არასაკმარისად ჰქვით წინასწარი ცნობით, МиГ-21-ების ერთ ნაწილს 2011 წელს

ჩამოწერენ, 2015 წელს კი 120 ერთეულ МиГ-21-სა და 40 МиГ-27-ს. მანამდე მათ შემცველებს გამოუქვნიან.

უკვე ლაპარაკია ინდურ გამანადგურებელ Tejas-ზე. გამოიტყვლი არ არის, უცხოური თვითმფრინავებიც იყიდონ. 2015 წლისათვის დაგეგმილია რუსული Су-30МКИ-ის რაოდენობის 104-დან 230 ერთეულამდე გაზრდა.

МиГ-21-ის ბოლო კატასტროფა 2009 წლის 11 სექტემბერს მოხდა. წელს ინდოეთმა სულ სამი МиГ-21 და МиГ-27 დაკარგა. გარდა ამისა, კატასტროფა გახიციდა ორმა გამანადგურებელმა Су-30МКИ-მ.

ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალებში ძალზე ხშირია ავიაიბი. 1970-დან 2000 წლამდე ქვეყნმა წელსწაღში 22-23 თვითმფრინავსა და შეკუდმფრენს კარგადა, 2000 წლიდან კი 10-15 მანქანას წელსწაღში. ამჟამად ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებს დაახლოებით 1100 საბრძოლო თვითმფრინავი ჰყავს.

# ბრაზილია უკრაინული შიარალბით დაინტერესდა

ბრაზილიამ შესაძლოა უკრაინული რადიოლოკაციური სადგურები, ჯეო-შანტეკნიკა და კატრები შეიძინოს. შეიარაღების შესყიდვა 2030 წლამდე ბრაზილიის არმიის მოდერნიზების პროგრამის ფარგლებში დაიწყება. პროგრამის გეგმიური მოცულობა 74 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

შეიარაღების შესყიდვაზე ბრაზილიასა და უკრაინას შორის მოლაპარაკების შესახებ ინფორმაციას არ ახმაურებენ. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, უახლოეს მომავალში ბრაზილიის თუ-დაცვის მინისტრი უკრაინის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს გაეცნობა.

როგორც იუწყებიან, ბრაზილიას უპირველესად დაინტერესებს უკრაინული სამკორინდინატიანი რადიოლოკაციური სისტემები, ასევე ტანკი Т-84 „ოპლოტი“ და БТР-4. თუ ახალი კონტრაქტი დაიდო კიდევ, ალბათ, გარეგნობის დიდ თანხაზე ლაპარაკი არ იქნება, რადგან უკრაინისთვის ამ ეტაპზე მთავარია გვიდებს ბრაზილიის შეიარაღების ბაზარზე.

ტანკი Т-84U „ოპლოტი“ შეიარაღებაში 2009 წელს მიიღეს. მის ბაზად Т-80-УД გამოიყენეს. მანქანა 70კმ/სთ სიჩქარის ავითარებს. Т-84U შეიარაღებულია 125-მილიმეტრიანი ქვემეხით,

7,62-მილიმეტრიანი შუთანწყობილი ტყვიამფრეკვეთითა და 12,7-მილიმეტრიანი ზავინიჭო ტყვიამფრეკვეთით.

ჯეოშანტეკნიკის სპორტიორი БТР-4 საათში 110 კმ-ს ავითარებს. მასზე მოდულური შეიარაღების დაყენება შეიძლება. კრძოდ, მოდულ „გრომს“ აქვს 30-მილიმეტრიანი ავტომატური ქვემეხი, 7,62-მილიმეტრიანი ტყვიამფრეკვეთი, 30-მილიმეტრიანი ყუმბარსა-

ტყორცნი და 4 ტანკსაწინააღმდეგო-იარაღი.

უკრაინაში ასევე უშვებენ სამკორინდინატიანი რადიოლოკაციური სისტემებს 36Д6-М და 80К6. რადიოლოკაციური სადგური 36Д6 და მისი მოდიფიკაციები ექსპლუატაციაში აქვთ დასოის ქვეყნებს, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპას, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკას, აზიას და აფრიკას.



# Boeing-ის საბრძოლო ლაზერმა თვითნაკეთი ბომბები გაანადგურა



Laser Avenger-ი

ამერიკულმა კომპანია Boeing-მა აშშ-ის არმიასთან ერთად გამოცდას დაიწყო ლაზერული ქვემეხი Laser Avenger-ი, რომელსაც 50 თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა უნდა გაანადგურებინა. გამოცდა 2009 წლის 22-24 სექტემბერს შედგა.

გამოცდის დროს საბრძოლო ლაზერმა გაანადგურა სხვადასხვა მანძილზე განთავსებული ასაფეთქებელი მოწყობილობები. ლაზერის შტეტვის კუთხე ყველა შემიზღვევაში განსხვავებული იყო. Laser Avenger-ის ასეთი გამოყენების უპირატესობა ის არის, რომ ჯარისკაცებს მანქანიდან გადმოსვლა და გამანადგურებელ ბრიგადის ლოდინი არ სჭირდებათ, რომ დაეღუბებინათ მსურველი გააგრძელონ.

ლაზერული ქვემეხის ეს მეთოდი შედეგადაც გამოცდა იყო. 2008-2009 წლებში ტესტირების დროს Laser Avenger-მა გაანადგურა მომცრო ზომის უპილოტო საერთო აპარატები, 2007 წელს კი 5 თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა.

Laser Avenger-ი ერთდროულად შეიძლება საბრძოლო ლაზერსა და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს Avenger-ს. Avenger-ის გარდა, Boeing-ი შემადგენლობაში

თბის სისტემა MATRIX-ზე — საბრძოლო ლაზერის კიდევ ერთ ვარიანტზე. MATRIX-ი Boeing-მა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების სპეციალისტებთან ერთად დაამუშავა, MATRIX-ი მობოლოური პლატფორმაა და შეიარაღებულია ლაზერითა და რადარით. ამ იარაღს შეუძლია ერთდროულად რამდენიმე სამიზნეს მიხედოს. გამოცდის დროს, რომელიც 2009 წლის მაისში ჩატარდა, სისტემამ სხვადასხვა სიშორეზე მფრინავი ხუთი უპილოტო საერთო აპარატი გაანადგურა.

მა კონტრაქტი „როსობორონი“-სთან 18 გამანადგურებელ Cy-30MKM-ის მიწოდებაზე. როგორც იუწყებიან, მალაიზიის სამხედრო-საჰაერო ძალებს შეიარაღებიდან არ მოხსნიან МиГ-29-ებს მას შემდეგ, რაც ახალი თვითმფრინავების — Cy-30MKM-ებს მიიღებენ რუსეთიდან.

## რუსეთი გამანადგურებლებს კალმის ზეთში ცვლის

უცხოელ პარტნიორებთან სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობაში რუსეთი მიწოდებული პროდუქციისთვის ურთიერთანგარიშსწორების მოქმედ სისტემას იყენებს.

მაგალითად, მალაიზიისთვის 1990 წელს მიწოდებული მიწოდებული მიწოდების სწორედ ასეთი სისტემა გამოიყენ

და, პროდუქციის საფასური ნატურით ძალისხეულია და სხვა მალაიზიური საექსპორტო საკონტრაქტი.

მალიზიის რუსეთთან აქამდე ინტენსიური სამხედრო თანამშრომლობა არ ქონია. ამ ქვეყანამ რუსეთისგან 18 რუსული გამანადგურებელი МиГ-29 1994 წელს შეიძინა, 2003 წელს კი გააფორ

მა კონტრაქტი „როსობორონი“-სთან 18 გამანადგურებელ Cy-30MKM-ის მიწოდებაზე. როგორც იუწყებიან, მალაიზიის სამხედრო-საჰაერო ძალებს შეიარაღებიდან არ მოხსნიან МиГ-29-ებს მას შემდეგ, რაც ახალი თვითმფრინავების — Cy-30MKM-ებს მიიღებენ რუსეთიდან.

## Raytheon-მა Sidewinder-ს მიწოდებას განაგრძობს

ამერიკულმა კომპანია Raytheon-მა დაამუშავა „კაინ-მიწა“ ტიპის ქსელოური რაკეტა AIM-8X Sidewinder-ის მოდიფიკაცია თვითდაზიანების ინფრარაიული თვითმოდირებული რაკეტის ახლა შეუძლია გაანადგუროს როგორც მფრინავი, ისე მიწისზედა ან მტკვარი მიზნები.

ჯერჯერობით, რაკეტის ორი ტესტირება გაშვება ჩატარდა, ერთ-ერთი 2009 წლის 23 სექტემბერს, მექსიკის ყურეში, მოდიფიცირებული AIM-9X-ის

გამანადგურებელ F-16C-დან გაუშვეს, სამიზნე კი მტკვარი ნავი იყო. პირველი გაშვების თარიღი არ გახმაურებულია, თუმც ცნობილია, რომ ის გამანადგურებელი F-16-დან გაუშვეს.

ორმავე დანიშნულების Sidewinder-ი აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა 2007 წლის მარტში შეუკვეთეს. თვითმფრინავიდან რაკეტა AIM-9 Sidewinder-ის სერია მხოლოდ მფრინავი მიზნების გასანადგურებლად იყო განკუთვნილი. ახალი უნიფიცირებული იარაღი ამერი

კულ გამანადგურებლებს ერთდროულად რამდენიმე დაეღუბების შესრულების საშუალებას მისცემს.

Raytheon-ი ასევე მუშაობს AIM-9X-ის მიწოდებაზე ურსიაზე, რომლის გაშვება მფრინავი მიზნების გასანადგურებლად შეიძლება მოძიერ პლატფორმიდან, მაგალითად, ჯგუშნაეტიობილ Humvee-დან. მიმდინარეობს მუშაობა საზღვაო მზარების რაკეტა Sidewinder-ზეც, რომლის გაშვება წყლის სიღრმეშიც შეიძლება.



# ყველაფერი დედაქალაქის ბასამაგრივლად

4 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ვახაჩის სამხედრო ბაზაში, მე-4 ქვეითი ბრიგადის დისლოკაციის მუშობლად ახალი კეთილმოწყობილი მინიბაზა გახსნა, რომელშიც პირველი საარტილერიო ბრიგადა განთავსდება.

ერთი-ორი კვირით ადრე თბილისის ახლოს, პირველი ქვეითი ბრიგადის ბატალიონებიც გადაწაწილდნენ.

საგულისხმოა, რომ პირველი ქვეითი, ისევე როგორც პირველი საარტილერიო ბრიგადები მანამდე შეხაბამისად გორის მახლობლად, საავტომობილო ტრასასთან და შიგ გორში იყვნენ დისლოცირებული. პირველი ქვეითი ბრიგადის ყოფილი დისლოკაციის ავგალზე ფინიშალიან თვდაცვის ეროვნულმა აკადემიამ გადაინაცვლა, ხოლო გორში არტილერიისტების ნაცვლად ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მე-5 ქვეითი ბრიგადის დანაყოფები დაიდებენ ბინას.

პირველი ქვეითი ბრიგადა, ისევე როგორც პირველი საარტილერიო ბრიგადა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შედარებით უკეთ მომზადებულად და ბრძოლისუნარიანად ითვლება.

ქართული არმიის მოთვარი დასავლეთი სამხედრო შენაერთების თბილისისკენ გადმოსროლა ძალაუნებურად გვაფიქრებინებს,

რომ ხელისუფლება რუსეთის შესაძლო მორიგი სამხედრო აგრესიისგან თავდაცვის ეპიცენტრად დედაქალაქ თბილისს მიიწვეს.

რაგინდ მხელად მისაღები უნდა იყოს ითიოეული წყნგანისთვის, მით უფრო არათბილისელთათვის, ეს ლოგიკურია.

ახალგორის რაიონში ითიქის საერთომობლი ტრასასთან და სარკინიგზო ხაზთან ჩამოსულ რუს ოკუპანტებს იოლად შეუძლიათ გადაკეტონ ორივე მაგისტრალი, შწყობრიდან გამოიყვანონ ელექტროგადაცემის ხაზები და აფეთქონ ბაქო-სუფსის ნავთობსადენი.

ასეთ შემთხვევაში გორის მახლობლად დარჩენილი პირველი ქვეითი და პირველი საარტილერიო ბრიგადები მოწყვეტლინი აღმოჩნდებილენ დედაქალაქის დაცვისგან და ბრძოლის მოუწევდათ თბილისისკენ წამოსვლა.

ამასთან მარტო მე-4 ქვეითი ბრიგადისათვის ვაშლიჯერის სპეციალური ოპერაციების დაჯგუფების იმედად დედაქალაქის დატოვებაც არ ეჩნებოდა სწორი.

დასავლეთ საქართველოში რჩება მეორე (სენაკში) და მესამე (ქუთაისში) ქვეითი ბრიგადები. ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონი — აჭარაში და მეორე საარტილერიო ბრიგადა — ხონში.

გორის მიმართული ჯერჯერობით შედარებით მომსუქლებულია, რადგან იქ გადასროლილი მე-5 ქვეითი ბრიგადა, რომელიც მანამდე ხელგაწაურში იდგა, ჯერ ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული. ჩანს, საქართველოს ხელისუფლებამ ვიქრობენ, რომ რუსული სამხედრო აგრესიის განმეორების შემთხვევაში მთელი ქვეყნის დაცვა გარკვეული ხნითაც კი (ერთი-ორი კვირა) გაჭირდება, ამიტომაც ძირითად ძალებს მაინც დედაქალაქის გარშემო უყრიან თვს.

ამ თვლსაზრისით ჭირს გაამართლო თვდაცვის ეროვნული აკადემიის „წინა ხაზზე“ — გორის ტრასასთან გადასროლის გადაწყვეტილება.

ამასთანავე, კიდევ უფრო გაუმართლებლად მოჩანს ცენტრალური სამხედრო პოსპიტლის დარჩენა გორში, როდესაც ძირითადი სამხედრო შენაერთები თბილისის გარშემო იყრიან თვს, ხოლო მეორე ნაწილი კი დასავლეთ საქართველოშია თავმოყრილი. აჯობებდა, სამხედრო პოსპიტლის თბილისში დაბრუნება, თორემ რას ნიშნავს საპერო დაბობგავში და დროებით ოკუპაციამო მოხვედრილი სამხედრო პოსპიტალი, სამწუხაროა, უკვე ენახეთ.

ირმალი ალბაშვილი

# როგელი უფრო ძლიერია — „მისტრალი“ თუ „სობოლი“?

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის ფრანგული უნივერსალური სადესანტო ხომალდი-დოკის „მისტრალის“ შესაძლო ვიდამ ჩვენს მედიამ გადამეტებული ინტერესი გამოიწვია.

ჯერ ერთი, უცნობია ამ ხომალდის თაობაზე საფრანგეთსა და რუსეთს შორის გარიგება შედგება თუ არა; მეორე — გარიგების შემთხვევაში, ფრანგებმა 1,5-2 წელიწადში უნდა ააგონ „მისტრალის“ სერიის კიდევ ერთი ხომალდის კორპუსი და რუსეთს შეიარაღების გარეშე გადასცენ. სულ მცირე, 2,5-3 წელი ხომალდის შეიარაღებით აღჭურვას, ეკიპაჟის მომზადებასა და სუპერთანამედროვე სისტემების ათვისებას დასჭირდება; შესაძლოა — რუსეთს ოთხი დიდი ფლოტი ჰქვავს და ფრანგული ხომალდის სამსახური ბალტიის ზღვაში, ჩრდილოეთის ფლოტში, წყნარ ოკეანესა თუ შუგ ზღვაში გაგრძელდება, ამის თქმა 2009 წლის დეკემბერში საკმაოდ ძნელია; მეოთხე — ფრანგულ ხომალდს რუსულ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში ბევრი მოწინააღმდეგე ჰქვავს. ასეთი გარიგება ისედაც ღრმა კრიზისში მყოფ რუსეთის სამხედრო გეომომენტულობას დიდ ფინანსურ-ეკონომიკურ სირთულეებს შეუქმნის; მეექვსე — ხომალდის ვიდვის მოწინააღმდეგე რუს სამხედროებს თავდაც არ ესმით, რისთვის არის საჭირო ფრანგული ხომალდი, ან სად შეიძლება მისი გამოყენება;

„მისტრალს“, „როტრედამს“, „გალისიას“, „ნიუ-იორკსა“ და სხვა მსგავს ხომალდებს რუსეთის სამხედრო-საზღ-



ვაო ფლოტის მთავარსარდალი, ადმირალი ვისოცკი შურით უყურებს და კიდევ დიდხანს მოუწეს თვისი ყოჩაღი მზღვაურების ძველი, დაქანებული ხომალდებით დეალებზე გაგზავნა.

საქართველოს პროტესტის მიუხედავად, ფრანგულმა „მისტრალმა“ პიარაქცია ჩაატარა და ცოტა ხნის წინ რუსეთის ჩრდილო დედაქალაქ სანქტ-პეტერბურგს რამდენიმე დღით ეწვია.

ჩვენი საზოგადოება, როცა პარისს რუსეთთან გარიგების თემაკეფებისაკენ სხედასხვა გზით მოუწოდებდა, იმავდროულად, მოსკომა აფხაზეთში ჩვენი ქვეყნისათვის ბევრად უფრო საშიში და სახიფათო ნაბიჯი გადადგა.

აფხაზეთში რუსეთის ფედერალური სასაზღვაო სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილის, პოდპოლკ-

ონიკ ოლეგ ფროლოვის ინფორმაციით, 7 დეკემბერს ოჩამჩრეში რუსული საოკუპაციო ჯარების სანაპირო დაცვის დევიზიონმა სასაზღვაო-საპატრულო დანიშნულების ორი „მანგუსტისა“ და ერთი „სობოლის“ ტიპის კატარა მიიღო.

რუსი ოფიცრის თქმით, უახლესი სასაზღვაო კატარლებით აფხაზეთის საზღვაო საზღვრები საიმედოდ ჩაიკეტება, ხოლო აფხაზეთის პორტებისაკნ მიმავალ გემებს უსაფრთხო ცურვის უზრუნველყოფა ექნება.

ოჩამჩრეში ახალი პროექტების საპატრულო კატარლებით სანაპირო დაცვის დევიზიონს შეეცება დაიწყო და რუსეთის მუქარად რეალური სახე მიიღო.

თამარ ჩაჩანიძე



# კავკასიური მოვლენები

აზერბაიჯანის  
სამხედრო-საზღვაო  
ფლოტი შესამჩნევად  
დაუძველდა



მა. აღმოჩენილ-განადგურებულია 16248 ნაღძი და აუფეთქებული საბრძოლო მასალა. სულ განადგულია 115803002 კემ ტერიტორია, ხოლო 504396 ნაღძი და საბრძოლო მასალა კი განადგურებულია.

## სომხეთი

● ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის შესაბამისად (IPAP) სომხეთი სამოქალაქო თვდაცვის ეროვნულ კონცეფციას შეიმუშავებს. ამის შესახებ განცხადება ეროვნული უშიშროების საბჭოს მდიანმა არტურ ბაღდასარიანმა გააკეთა. დასკვნებით ეროვნული უშიშროების საბჭოს 2010 წლის მათსში წარუგინება და მასში აისახება სამოქალაქო თვდაცვის დღევანდელი მდგომარეობა, თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით ახლებური ფორმირების კონტურები და კრიზისული მართვის სფეროს გასაფართოებელი ღონისძიებები.

## აზერბაიჯანი

● საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის წევრებმა აზერბაიჯანელთა ტყვეობაში მყოფი ექვსი სომეხი ჯარისკაცი მონახულეს. ეს რვათი მეთხუ მონახულეა იყო, რომლის დროსაც ტყვეთა საცხოვრებელი პირობები შემოსწდა და მათთან პირისპირ საუბარი შედგა. სამი ჯარისკაცი აზერბაიჯანელთა მხარეზე თებერვალში, ორი მათსში და ერთიც ოფისში გადაიყდა.

● აზერბაიჯანი უახლოეს წლებში ხომალდების მშენებლობას დაიწყებს. ქვეყნის ეკონომიკის მინისტრის შაინ მუსტაფაევის თქმით, მომავალ წელს ბაქოს მახლობლად ყარაღაღის რაიონში გემოსამშენის მშენებლობა დაიწყება, სადაც სამოქალაქო გემებთან ერთად თვდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურისათვის სხვადასხვა წყალწვევის ხომალდები და კატარალები აიგება. ქარხანაში ყველაზე თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგიები დიდერება, ხოლო ხომალდებში აზერბაიჯანის თვდაცვითი მრეწველობის პროდუქციის გამოყენება არის დაგეგმილი. მოსალოდნელია შეკვეთების სხვა ქვეყნიდანაც მიღება.

● 24 ნოემბერს საღამოს ბაქო-შემახის ავტომაგისტრალზე ავტობუსი ტანკს დაეჯახა. ავტობუსში რამდენიმე მგზავრი დაშავდა. წინასწარი მონაცემებით, დამნაშავე ავტობუსის მძღლი იყო.

● ოქტომბერში აზერბაიჯანის არმიის 3 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა და 4 დაიჭრა. მათ შორის ორი მათგანი შუეცარიაში ავტოსავალი შემთხვევის დროს დაშავდა. 2009 წლის იანვარ-ოქტომბერში არმიის მლიანმა დანაკარგმა 53 დაღუპული და 34 დაჭრილი სამხედრო მოსამსახურე შეადგინა.

● 13 ნოემბერს აზერბაიჯანში რუსეთის საელჩომ 1989-91 წლებში აფანეთში ნაბრძოლ 3 აზერბაიჯანელსა და ერთი დაღუპულის დას საბრძოლო ჯაღდელები გადასცა. აფანეთის ომში 7500 აზერბაიჯანელი იბრძოდა, საიდანაც 208 დაიღუპა და 417 დაიჭრა.

● ANAMA-ს ინფორმაციით, ოქტომბერში ქვეყნის ტერიტორიის კიდევ 2 827 520 კვადრატული მეტრი გაინად-

## ჩრდილო კავკასიის რეგიონი

● პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის ბრძანებულებით ჩუჩეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რამზან კადროუს 10 ნოემბერს მილიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება მიენჭა. ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ „მაღალი წოდებით აღინიშნა რამზან კადროუსი



ჩეჩენეთის  
ახალგაზრდა  
პრეზიდენტი  
მრავალმხრივი  
ნიჭისა და  
გაბნეების  
კაცია



# მიმოიღვა...

დამსახურება უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წინააღმდეგ სპეციალური ოპერაციების ორგანიზაცია-ნატარებაში“. ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ საერთო მისიონერულად, სპეცოპერაციებში კადროვი პირადი მონაწილეობს და მასში მონაწილე მილიციისა და სპეცსამსახურების დანაყოფთა მოქმედებებს ხელმძღვანელობს. 33 წლის ჩენეთის შესამე პრეზიდენტს უკვე აქვს რუსეთის გმირის ოქროს ვარსკვლავი, მამაციობის ორდენი, აჰმად კადროვის სახელის მედალი; არის ჩენეთის საპატიო მოქალაქე, რეპუბლიკის ფოკულტურის დამსახურებული მოღვაწე და კრემლი სპორტის ოსტატი.



ე.ნ. ოსურმა სამშვიდობო ბატალიონმა 2008 წლის აგვისტოს ომის განაღდებაზე დიდი როლი ითამაშა

## ცხივალის რევიონი

● 4 ნოემბერს ცხივალში ე.წ. ოსური სამშვიდობო ბატალიონის ბოლო მოწეობა შედგა. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2009 წლის 18 თებერვლის №6031 გადაწყვეტილებით ე.წ. რუსულ-ოკაჩინდელი ოსეთი-აღანის სამშვიდობო ბატალიონი დაიშალა. ბატალიონი აქტიურად მონაწილეობდა 2008 წლის ომის პროვოცირებასა და ცხივალის ბრძოლებში.



ყარაბაღის ომის ერთ-ერთი ცნობილი და გამოცდილი მეთაური, ყოფილი ტერორისტი მონტე მელქონიანი — მეტსახელად აგო

მადგენლობის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა ტერაქტის ორგანიზებაში მონაწილეობდა. 1991 წლიდან ყარაბაღში იყო ერთ-ერთი ბრძოლის დროს, 1993 წლის 12 თებერვლი დაიღუპა. მინიჭებული აქვს „არჯლის გმირისა“ და „ოქროს არწვის“ ორდენის კავალის წოდება.

თუმურ ჩაჩანიძე

## ქოფლიაგური კაზინო

● რუსეთის პრეზიდენტმა დმტრი მედვედევმა რუსეთის არმიის ყველა სამხედრო მოსამსახურეს, რომლებიც საქართველოში აგრესიის დროს ცხივალის რევიონში შემოიჭრნენ „საბრძოლო მოქმედებათა მონაწილის“ სტატუსი მიანიჭა. ეს პირები ყოველთვიურად 1735 რუბლს, ანუ დაახლოებით 60 დოლარს მიიღებენ და ექნებათ კანონით „ვეტერანების შესახებ“ განსაზღვრული შეღავათები. დამატებითი ბარჯები ამ მიმართულებით 2010 წელს დაახლოებით 300 მილიონ რუბლზე მეტი იქნება. ფინანსურ-ეკონომიკური გათვლით, ცხივალის რევიონსა და აფხაზეთში მყოფი 21 ათასი სამხედროდან დაახლოებით 14700-ს, ანუ 70%-ს, „საბრძოლო მოქმედებათა ვეტერანის“ წოდება არა აქვს.

## ყარაბაღი

● 26 ნოემბერს რაიონულ ცენტრ მარტუნში აღინიშნა ყარაბაღის ომის აქტიური მონაწილის, ერთ-ერთი გამოცდილი მეთაურის მონტე მელქონიანის (აგო) დაბადების 52-ე წლისთავი. მონტე მელქონიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბადა. 1975 წლიდან ირანისა და ლიბანის სომხურ სკოლებში ასწავლიდა. 1978-80 წლებში ლიბანის სამოქალაქო ომში მებრძოლად ქრისტანების მხარეს იბრძოდა, მუდგ სომხეთის გათავისუფლების საიდუმლო არმიას შეუერთდა და თურქეთის წარმო-

აფხაზეთის სახმელეთო-საზღვაო ადმინისტრაციულ საზღვრებს რუსეთის საოკუპაციო ჯარების აკონტროლებენ

## აფხაზეთი

● თანამეგობრობის სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭოს საკორდინაციო სამსახურის თავმჯდომარემ გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრე მანილოვმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აფხაზეთში დაახლოებით 1000 რუსი მესაზღვრეა, ხოლო საზღვაო აკატორიას შუი ზღვა-აზოვის ხანაპირო დაცვის სასაზღვრო სამმართველოს სანაპირო დაცვის 10 ხომალდი და კატარა და აკონტროლებს. გენერალმა მანილოვმა დადასტურა ოჩჩინიშვილი შუი ზღვის ფლოტის ბაზირების პუნქტის მოსაწყობად დაწყებული საუბოების მიმდინარეობა.



# საქართველოს საგარეო დაზვერვა

## მიიჩ და ხეაძობა

გაგრძელება დასაწყისი იხ.  
„არსენალი“ №16-24

### 1919 წლის 13 სექტემბრის ტერაქტის ქართული ვერსია

სექტემბრის შხაინ დღე იყო. ვერის დადმართის ქვაფენილზე მძლივს წელა მიჰყავდა ავტო და ცდილობდა, ძალიან არ შეეწუხებინა ჩინოსანი მგზავრები. ავტომობილისთვის ტრეტი გადაჯადათ და კარგად ჩანდნენ სამხედრო ფორმის გამოსუბილები მგზავრები.

მძლივის გვერდით ამერიკეკაცისაში სამხრეთ რუსეთის შვიარალფულო ძალების წარმომადგენლის, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ბარათოვის (ბარათაშვილის) აღიუტანტი იჯდა, ხოლო უკანა სკამზე — ჩუენთვის უკვე ხაზინი გენერალი ბარათოვი და საქართველოს თავდაცვის სამხრის წვერი, გენერალ-ლეიტენანტი ივანე თიფთულოძე მთავრებულ იყვნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. ავტომობილს ორი ცხვინოსანი მცველი მიჰყებოდა უკან.

მცველებისთვის მოულოდნელად წელი სუთით მიძაღვალ ავტომობილს ახალგაზრდა კაცი მიჰჭრა და ღია საღლის ვუმბარა ესროლა. ტერორისტმა გაქცევა ვერ მოასწრო, ის მცველების ტყვიით მოცული ქუთუნიწიზე დაეცა. ეს „პიშისტი“ არკადი ელბაქიძე იყო. ავტომობილის მგზავრებიდან მძლივს და ავიუტანტი დაილუწნენ, გენერალი თიფთულოძე კი მსუბუქედ დაიჭრა და ერთი თვის შემდეგ დაუბრუნდა სამხედრო საქმიანობას. უფრო მძიმე აღმწინდა გენერალ ბარათოვის ჭრილობა — მას ფეხი მიჰყვედა და მთელი ცხოვრება ინვალიდად დარჩა. გენერალი ბარათოვი საქართველოდან მალევე გაემგზავრა და 1920 წლის მარტ-აპრილში სამხრეთ რუსეთის მიჯარობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. რამდენიმე თვეში ემიგრაციაში წაიფიდა და გენერალ ვერაქიძის დაგალებით სათავეში ჩაუდგა რუსეთის ინვალიდთა კავშირს. ბარათოვი გარდაცვალებამდე (1932 წ.) რედაქტორად პარიზში გამოქვეყნებულ „რუსეთის ინვალიდს“.

დაუბრუნდეთ ტერორისტ ელბაქიძეს.

**ჩხვინი დონიცი:** ცნობილი ტერორისტი არკადი ვარამანის ძე ელბაქიძე ამპროლოურის რაიონში დაიბადა 1879 წელს, 1905 წლიდან ბოლშევიკების

რიგებშია. როგორც ტერაქტების უშიშარმა მონაწილემ და ბივიეკმა, მალევე მიიხტრო კამოს ვურადლება და მის რანშიში ჩაირიცხა. არკადი ელბაქიძე მონაწილეობდა საქართველოს (თბილისი, კოვლირი, ქუთაისი და ჭიათურა) და რუსეთის სხვა ტერიტორიებზე მეფის მთავრობის ფულად სახსრების ექსპრობირაციადეაქადებაში. მთვან ველაზე ცნობილი 1907 წლის 13 თინის თბილისში მამინდელ ვრეენის (დღევანდელ თავისუფლების) მიუდანზე კამოს ხელმძღვანელობით მოქწეო. მამინ ათზე მეტი ბოლშევიკტერორისტი (ე. ლომინაძე, ა. ელბაქიძე, ს. დარახველიძე და სხვ.) თვის დავესხა რუსეთის იმპერიის ბანკის ტივლისის ფილიალის სახაზინო-საფრთხე ექსპედიციას, რომელსაც 250000 მანეთი გადააქვინდა. მათ ვანდარმები და პოლიციელები დახსოვეს და თანხა გაიტაცეს. ქართველი ანდაზა, კოკა წყალს ვოველივის ვერ მოიტანსო, ამგვარადაც გამართლდა, ელბაქიძე 1912 წელს დააპატიმრდა და მან ხუთი წელი გაატარა კატორაში. მავრამ ბედად 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მიუსწრო და საქართველოში დაბრუნდა. სამშობლოში ჩამოსვლისთანავე ის აქტიურად ჩაება მენშევიკურ ხელისუფლებისთან ბრძოლაში, მავრამ მალევე დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს.

ქართული დიკუმენტური წყაროების თანახმად, 1919 წლის 13 სექტემბრის ტერაქტი არკადი ელბაქიძის დაეცა, ხოლო სხვა ბოლშევიკბივიეკებს (მათ შორის,



ნიკოლოზ ბარათოვი

ტიტე ლორთქიფანიძეს) ტერორისტი უნდა დაეზღვიათ და ვუმბარის ავიუტიკის შემდეგ გაქცევაში დახმარებოდნენ. თუქცა, როგორც დავინათო, ველაფუერი გვემის მიხედვით ვერ წაიბარია, — ელბაქიძე მოკლეს, სხვა ტერორისტები გაიტყენ, ხოლო თუდასხმის ძირითადი სამიზნე — გენერლები ვადარჩნენ. სიველიდან ცხრა წლის შემდეგ ელბაქიძე საქართველოს წითელი დროშის ორდენით დაავალდოეს და ქუქასაც მისი სახელი უწოდეს.

1919 წლის 13 სექტემბრის ტერაქტი საქთია კავშირის საგარეო დაზვერვის ვერსიათ

საინტერესოა, რომ თუ ქართულ დოკუმენტურ წყაროებში 1919 წლის 13 სექტემბრის ტერაქტის მთავარი ორგანიზატორად და შემსრულებლად არკადი ელბაქიძე სახელდება, საქთია კავშირის საგარეო დაზვერვის საარქივო მასალებში ის „პატივი“ ცალსახად ტიტე ლორთქიფანიძის (1896-1937 წწ.) აქვს მიკუთვნებული.

ამ პირიუების შესახებ საქთია კავშირის საგარეო დაზვერვის არქივებში ძალზე საინტერესო მასალებია შემონახული. ის რუსეთის იმპერიაში ცნობილი ბოლშევიკტერორისტი იყო. ებრძოდა საქართველოს მენშევიკურ ხელისუფლებას. იყო საქართველოს უშიშროების ორგანიზების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. რამდენიმე წლის მანძილზე საფრანკეთში ასრულებდა სადაზვერუო დავალებას. მისი კარიერა საბედისწეროდ ვადაიკვება ლეკურისტი ბერისა ამბიციებთან, რაც ტიტეების ტრაგიკულად დასრულდა. ბივიეკ ტიტე ლორთქიფანიძის სადაზვერუო საქმიანობას ჩუენ კიდევ ვაუბრუნდებით. ამგვარად კი მის შესახებ არსებულ საარქივო დოკუმენტებს ვავეცნობო.

**ჩხვინი დონიცი:** დამბტირი (ტიტე) ილარიონის ძე ლორთქიფანიძე დაიბადა 1896 წელს ქუთაისის ვუბრაში, გლეხის ოჯახში. ოთხი ძმა ლორთქიფანიძე მონაწილეობდა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის საწინააღმდეგო შვიარალფულო გამოსვლებში. ტიტეს ერთი ძმა — იონა სიკვდილით დასავა მეფის ხელისუფლებამ, ხოლო მეორე ძმა — ელადიმეოვი ციხეში ვარდაიცვალა. ამ ტრაგიკულმა ფაქტებმა უცებობლად იმპერატორად მომავალი ტერორისტი მშემდგომ ცხოვრებაზე, ამას თუნდაც ის შემდეგ აღსტურებს, რომ 1913 წელს ახ-

# LIMA-2009

აღვანრდა ტიტე ბოლშევიკების რიგებში შევიდა და მათ საიდუმლო დავალებებს ასრულებდა. ის აქტიურად მონაწილეობდა კამოს ტერიორისტული ვაგუფის აქციებში, ყანაღურ თავდასხმებში, ბოლშევიკური პარტიის აქტივისტების ციხეებიდან და გადასახლებიდან გაქცევის ორგანიზებაში და სხვ. საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის დოკუმენტების თანახმად, 1915 წელს ტიტემ დაასრულა ქუთაისის გიმნაზია, ხოლო 1915-1916 წწ. სწავლობდა მოსკოვის კომერციის სასწავლებლის პირველ კურსზე. თუმცა მხელი სათქმელია, რამდენად უთავსება „ნორჩი“ ტერიორისტი ერთმანეთს სწავლასა და ტერაქტებს. ბოლშევიკებს რასაც ვერ დაეკარგებო ეს გვეგზავნიდა რეალური ენო პროპაგანდა-აგიტაცია იყო, განსაკუთრებით მეფის რუსეთის არმიამში. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჯარისკაცებისა და ოფიცრების გადამბერებს. ჩვენი ვარაუდით, სწორედ ამგვარი პარტიული დავალებების შესასრულებლად შევიდა 1916 წელს ტიტე ლორთქიფანიძე მეფის არმიამში რაგითი ჯარისკაცად. მისთვის მხელი არ იყო არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლა და ჯარში გაქმნისგან თავის დაცვა.

1917 წლის ნოემბერში ტიტე ტფილისში ბრუნდება და ებრძვის მინშევიკებს. 1918 წლის ავგუსტში მცირე ხნით მტკობის ციხეშიც აღიწინდა, თუმცა იმავე წლის ოქტომბრიდან ის უკვე ბოლშევიკების კეკელიის ბიუროს ბოევიკაა. ვერის დღე-ღამის ტერაქტის შემდეგ ტიტემ მამალა შეიღო, მაგრამ კვდიას საგანგებო რაზმს დიდხანს მაინც ვერ დაეშალა. 1919 ნოემბერში ის დააპატიმრეს და ჯერ ცენტრის, შემდეგ კი მშობლიური ქუთაისის ციხეში მაიარბანეს. რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, ნოე ყორღანიძის მთავრობა იძულებული გახდა საქართველოს სატუსაღოებში მყოფი ბოლშევიკ-ტერიორისტები (მათ შორის, ტიტე ლორთქიფანიძეც) გაეთავისუფლებინა და რუსეთში გამგზავრების საშუალება მიეცა. ბოევიკ ლორთქიფანიძეს აქ დროებით დაუმშვიდობლო, თუმცა მასთან „შუქველრა“ ჩვენ კიდევ მოვალეყვს.

საქართველოს ბოლშევიკური ანექსიისა და ოკუპაციის შემდეგ ტიტემ სწრაფად აიბრინა ჩეკისტური კარიერის სისხლიანი კბეები და ერთი-ორი წელი საგარეო დაზვერვის დავალებებსაც ასრულებდა პარინში, საბჭოთა კავშირის ბელჩონში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

I-ელ დეკემბერს მალაიზიამ მე-10 საერთაშორისო გამოფენა LIMA-2009 გამართა. გამოფენა დასაბამს 1991 წელს იღებს. ის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, დეკემბრის დასაწყისში ქალაქ ლანგკაგის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე ტარდება. გამოფენის სრული სახელწოდება Langkawi International Maritime and Aerospace Exhibition-ია და აქ სამხედრო ტექნიკის როგორც საუვაიციო, ასევე საზღვაო და ნაწილობრველ სახმელეთო ნიმუშების ნახვა შეიძლება. მართალია, გამოფენა LIMA თავისი მასშტაბურობით ვერც Le bourget-სა და ვერც Dubai Airshow-ს ვერ შეედრება, მაგრამ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ეს ვეულაზე დიდი ავიაციოსფერო და სამხედრო-საზღვაო სალონია. ის არასოდეს გამოიჩნეოდა მილანადრეზიანი კონტრაქტებით, უმეტესად მალაიზია თავის შვიარალებამ არსებულ საავიაციო და საზღვაო ტექნიკის ნიმუშებს წარადგენს ხოლმე. ასევე იქვეყანა ავიასალონში მონაწილე სხვა ქვეყნები და

მათი კომპანიები. ამიტომაც სამხედრო „სიახლეებს“ აქ იშვიათად ნახავს დამთვალიერებელი.

მასხინთელმა ქვეყანამ გამოფენაზე საავიაციო ტექნიკის სახით ხუთი გამანადგურებელი F/A-18D, სამი Cy-30MKM და 5 МиГ-29Н, ერთი საბრძოლო-სასწავლო Hawk Mk108/208, ორი MB-339CM და ამდენივე PC-7 და ერთი სამხედრო-სატრანსპორტო CN-235 წარადგინდა. კიდევ ორი შუეულმფრენი Super Lynx-ი მალაიზიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციას ჰყუფდა წარმოდგენილ. დღეისთვის საგამანადგურებელი ავიაციაში მალაიზიის სამეფო სამხედრო-საპაერო ძალების მთავარი ძალა რუსული წარმოების Cy-30MKM-ის ტიპის თვითმფრინავებია. ეს უკანასკნელი საექსპორტო Cy-30MKM-ს ერთ-ერთი ვარიანტია, რომელიც სპეციალურად მალაიზიის მოთხოვნების შესაბამისად შეიქმნა. დღეისთვის ქვეყანას 18 ასეთი თვითმფრინავი ჰყვავს.

რუსეთი, რომელიც გამოფენის უკვე



ბენიკ ალადაშვილი  
ექსპერტი ეროვნული  
უსაფრთხოების საკითხებში,  
უმშობრობის ვადამდგარი პოლკოვნიკი



ლი F-15E Super Eagle, ერთი მფრინავი ტანკერი KC-97 ჰყვება წარმოდგენილი.

რაც შეეხება გამოფენის საუბრალო ნაწილში მონაწილე სხვა ქვეყნებს, ავსტრალიის სამხედრო-საპეირო ძალებმა ორი F-111C, სინგაპურმა ორ-ორი გამანადგურებელი F-16 და დამრტყმელი შვედურებრი AH-64 Apache, ბრუნდენ ერთი შვედურდფრინი Black Hawk-ი წარმოადგინეს. საბოლოო-ყო გუნდების სახით სალონზე მაყურებლებს თაყიანი შესაძლებლობებს ფრანგული Patrouille de France და ბრიტანული Red Arrows-ი აჩვენებდნენ.

საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია



რეგულარული მონაწილეა, LIMA-2009-ზე სამგზავრო თეიმფრინავების Super Jet 100 და MC-21-ის პროექტები წარადგინა. პირველად რუსეთის ფარგლებს გარეთ ფართო პუბლიკისთვის დემონსტრირებულ იქნა ორი ექვს-ლულიანი 30 მმ-იანი ქვემეხისგან შედგენილი სახომალდო-საარტილერიო დანადგარი **Дуэт**-ი, რომელიც ტულის მოწივობილობათა მშენებელ საკონსტრუქტორო ბიურომ შექმნა. რუსეთის კიდევ ერთი მართალია, არასამხედრო თემატიკის ხიახლეს, სპეციალური შესაძლებელი კაბინა **Аквариум**-ი წარმოადგენდა, რომლის გამოყენებაც აუროპორტებში შეიძლება. ასეთ კაბინაში მყოფი ადამიანის სკანირებას რენტგენის სხივები კი არა, ძალიან დაბალი სიმძლავრის რადიოტალღები ახდენს, რისი წყალობითაც სამედიცინო თვალსაზრისით ადამიანის ჯანმრთელობას ნაკლები საფრთხე ექმნება. რუსეთის ყველა კომპანია **Рособо-**

რონექსპორტ-ი წარადგენდა.

აშშ-ს წლევანდელ გამოფენაზე თითო-თითო სტრატეგიული ბომბდამშენი B-52H და სამხედრო-სატრანსპორტო თეიმფრინავები C-17 Globemaster III და C-130, ორი გამანადგურებე-

ბელორუსული წარმოების რადიოტექნიკური დაცვის კომპლექსმა **Сателлит**-მა. ეს კომპლექსი საფრენი აპარატის რადიოტექნიკური დაცვის ინდივიდუალური საშუალებაა და მონივრადადმდევის ყველა შემტევ რადიოლოკაციურ საშუალებას აქტიურ წინააღმდეგობას უწევს.

რაც შეეხება გამოფენის საზღვაო შემადგენელ ნაწილს, საზღვაო ექსპონიციანო მონაწილეობა სხვადასხვა კლასისა და ტიპის 71-მა ხომალდმა მიიღო. ამოგან რეიდზე 30 ხომალდი დადგა, მათ შორის უზარმაზარი სამხრეთკორეული შვედურდფრინი.

სულ სალონზე თეიხი პროდუქცია მსოფლიოს 24 ქვეყნის 330-მა კომპანიამ წარადგინა, 42 ქვეყნიდან კი გამოფენას 236 თეიციალური დელეგაცია სტუმრობდა. გამოფენა LIMA-2009 ხუთ დღეს გაგრძელდა და 5 დეკემბერს დაიხურა. მას 38000-ზე მეტი კაცი დაესწრო.

თეიმურ აპულუზაშვილი



# თავდაცვითი ნაგებობები

დახანციონი იხ. არსებული №24

თელავის განხილვის დროს აუცილებელია შეუქრფოთ თელავის პოზიციების მძიწობის საკითხზე. კრძობ, უნდა განვიხილოთ ქვედანაყოფის თელავის პოზიციები, თითოეული მებრძოლის საცეცხლე წერტილი, საფორტიფიკაციო ნაგებობები და ა.შ.

სანამ მოლიანად ქვედანაყოფის თელავის ორგანიზებაზე გადავიდეთ ყველა მისი შემადგენელი ნაწილის შესრულებით, ენახოთ რა ვლქმენტებისაგან შედგება თელავის ნაგებობები და როგორ მუქაწყოთ ისინი.

საგლე თელავის ნაგებობებზე შევიდითა მივიხილოთ ბუნებრივი ან ხელუწრად შექმნილი საბრძოლველი მძიწობილი პოზიციები, საფურები მებრძოლებისათვის, ტყეა-წამლისათვის, სურსათისათვის ან ტექნიკისათვის, წინაღობები მტრის იერიშის შესაწერებლად და ა. შ. მათი დანიშნულება, დაციან საკუთარი ძალები მტრის ცეცხლის სხვადასხვა სახეობისაგან, დაკერებისა და არახელსაველი კლიმატური პირობებისაგან. იმუდროვლად, უნდა იძლეოდნენ მძიწობისაგან საკუთარ თავდაცვითი პოზიცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. უნდა იძლეოდეს საშუალებას მუდგანდავებული იარაღის მაქსიმალურად და ვეექტრიანად გამოყენებისათვის. ეს შეიძლება გაკეთდეს პოზიციის დაცილობის ხარისხის ხარჯზე, რადგან მტრის განდგურება ვეკლა არსებული საშუალებით

პირობითული ამოცანაა. ცეცხლის წარმოებისათვის გაკეთებული საშუარი (თუ დახურული პოზიციაა) უნდა იძლეოდეს საშუალებას სროლისათვის არა მხოლოდ საკუთარი პოზიციის პირდაპირ, არამედ საჭიროების შემთხვევაში, მუდობელი პოზიციების საცეცხლე სექტორებზე (სექტორების გადაფართოვით). ის დაახლოებით 45 გრადუსის სივანისა;

2. პოზიცია უნდა იყოს მაქსიმალურად დაციული არსებული საფრთხეებისაგან, მაგრამ არა საკუთარი საცეცხლე ძალის შეცივების ხარჯზე. დაციულობის პრინციპისათვის აუცილებელია პოზიციის რაცი შეიძლება ნაკლები სიმაღლე მძიწის დონეზე;

3. პოზიცია უნდა იყოს უბრალი და, ძირითადად, აკუებული იმ მასალებსაგან, რომლებიც მოიპოვება ადგილზევე;

4. პოზიცია უნდა იყოს კარგად შეხილებული. აუცილებლობიდან გამომდინარე, შეიძლება არ მოვეცდეს იმის საშუალება, რომ მოლიანად დაფართოთ ის, მაგრამ კამუფლირება (გარეოსთან მისადაგება) იმ დონეზე მაინც უნდა იყოს, რომ მტრმა ვერ შეძლოს ჩვეულებრივი დაკვირვებით მისი აღმოჩენა.

პოზიციების სრულყოფა არის მუდგან პრიციპი და გრძელდება მანამ, სანამდე არ მუდგა პოზიციების დაციუების ბრძანება.

ჩვეულებრივი იარაღისაგან თავის დასაცავად ქეობა ჩასაწვება დედამძიწის ზედაპირის სიღრმეში, რათა მებრძოლი დაციული იყოს ტყეების ძირითად მასისა და წვერის აფეთქების დროს პირინონტალურად წამოსული ნამსხერვეებისაგან.



პოზიციის ამაღლება მძიწის დონეზე მინიმუმამდე უნდა იქნეს დაევიანო. სასურველია, აგრეთვე, პოზიციის ზემოდან დაფარვა, რაც იძლევა დაციულობას არაპირდაპირი ცეცხლისაგან, საპაერო იერიშებისა და ხელუმბარებისაგან. ასეთი გადახურვისათვის საჭიროა სულ ცოტა 15-20-სმ დამატების მორები, ქეები ან 45 სანტიმეტრის სისქის ქეების ტომრები. გადახურვამ არ უნდა გამოიწვიოს პოზიციის დიდი ამაღლება მძიწის დონიდან, რის გამოც ის ადვილად გახდება შესაწინა და შესაბამისად, გახსნილი დამსხრებელი პირდაპირი საარტელები (არა მარტო) ცეცხლისათვის.


და ან ნაწილობრივ და პოზიცია ვერ იძლევა საჭირო დაციუს ქიბოური ან ბიოლოგიური იარაღისაგან. ასეთი შემთხვევებისათვის მებრძოლს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური დაციუს საშუალება, ანუ არწინილი, ან სპეციალური კოსტიუმი. ნააღმის ან აერონოლების შემეკვლი იარაღის გამოყენების შემთხვევაში საჭიროა დახურვის ვეკლა და ადვილი პოზიციანზე.

პოზიციების მოსაწყოად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ადვილზე მოპოვებული მასალები: ხეები, ლოდები, მორები, ტოტები, თივლი, ვინული და სხვა მასალები, რომელია საშუალებით ავაგებთ და შევნიღბავთ საცეცხლე წერტილს. გარდა ბუნებრივისა, შესაძლებელია გამოვიყენოთ სარები, ნახრჩი ფიცრები, მათულხლართი, ქეიმაჩანი ტომრები, რკინაბურთის კონსტრუქციები, აკურები, ნანგრევიები და ა. შ. სამ-

ნაღმტკორცნელთა პოზიცია

ოროციანი „მელიის სორო“ გადაფარვის გარეშე





საფარი პირადი შემადგენლობისთვის



ტანკანინიალმდგეო გათვლის პოზიცია

უმაღლესი ჩასატარებლად აუცილებელია ბარბი, წრატეები, ზრხი, ურო, ნაჯახი, ჩაქუჩი, ლურსნები, თოკები და ა. შ.

**ინდივიდუალური პოზიციის მონყობა**

ა. სწრაფად მომზადებული პოზიციები კეთდება საბრძოლო პირობებში, როდესაც დრო ძალიან მკირფასია და ნებისმიერ წამში შეიძლება მტერმა ცეცხლი გახსნას. მათი მომზადება და გამაგრება ხდება ნაჩქარევად და ადვილზე მოპოვებული მასალებით ვასათვისისწინებელია, რომ ყოველი საცეცხლე წერტილის სექტორი აუცილებლად უნდა კვირდეს გვერდითი საცეცხლე წერტილების სექტორებს. როდესაც ინდივიდუალური პოზიცია, ასე თუ ისე, მზად არის, უნდა დაიწყოს მათი ერთმანეთთან შეერთება. სწრაფად მომზადებული პოზიცია ვარგისია მხოლოდ მოკლე დროის მონაკვეთში და თუ ქვედანაყოფი აპირებს ამ ტერიტორიის შეჩარჩუნებას გრძელვადიანი პერიოდით, აუცილებელია პოზიციების შემდგომი სრულყოფა მაქსიმალურად შესაძლებელი დაცულობის დონეზე გან-

ვიხილოთ სწრაფად მომზადებული პოზიციების მაგალითები:

1. ჭურვას აფეთქებას შემდეგ გაჩენილი შესაბამისი ზომების (1 მეტრამდე) კრატერი შესაძლებელია სწრაფად გადაკეთდეს საცეცხლე პოზიციად. მებრძოლი ბარბი დაავრტლებს მას საკუთარი სიმაღლის შესაბამისად, ხიდრმებს ამითხრის ისე, რომ იყოს მოღაიანად ჩასანგრებული და მომზადებს საშუერებს მოწინააღმდეგის მიმართულებით სროლის წარმოსხმისათვის;

2. მიწის ზედაპირზე არსებული მცირე ზომის ბორცვი, რომელსაც შეიძლება ამოეფაროს მებრძოლი მტრის პირდაპირი ცეცხლისაგან ათვდასაცავად, შესაძლებელია გადაკეთდეს სწრაფად მომზადებულ პოზიციად. ამისათვის ის ბარბი ისწევებს მიწის თხრას წინა მხრიდან და ყრის მიწის წინ და გვერდებზე. ამ დროს ძნელია მიწაში სრული ჩასანგრება და, ფაქტობრივად, მებრძოლი იმყოფება მიწის ზედაპირის დონეზე, დაფარული წინიდან ბორცვით, ხოლო გვერდებიდან — ნაყარი მიწით როგორც კი იქნება საშუალება, აუცილებელია ასეთი პოზიციის ხიდრმებში გაზრდა და სრულყოფა, რაც


მოეცემა წლით საცეცხლე პოზიციას;

3. წლითი პოზიცია არის ზედაპირული პოზიციის სრულყოფის შუევი. მებრძოლი არის ჩასანგრებული მიწის ზედაპირის დონის ქვემოთ და დაცულია პირდაპირი ცეცხლისაგან. თუ გვაქვს დრო, მაგრამ არა გვაქვს საშუალება, რომ გამოეყენოთ ასეთი პოზიციის გადახურვისათვის მორბეტი, რათა დაცული ვყოფიარაბრადპირი და ვიაციის ცეცხლისაგან, მაშინ შესაძლებელია ამითხრის გვერდებზე ჩადრმავება, რომელიც დაფარული იქნება უკვე არსებული მიწის ზედაპირით


**ბ. სრულყოფილი (სრული პროფილის) პოზიციები.**

როგორც კი ბრძოლა ჩაწყნარდება, მაშინვე უნდა დაიწყოს ინდივიდუალური წლითი პოზიციის სრულყოფა, — მისი გაღრმავება, ბრძოლისათვის მისდავაება, გადახურვა და ა. შ. კარგე მომზადებულ საცეცხლე წერტილის ნატოს ქვეყნებში „ქელიის სორო“ (Foxhole) უწოდებენ. ის იფიქ სანგარია, „ქელიის სორო“ შეიძლება იყოს წლითი, ჩაწოქილი სროლისთვის, დციმელია ან კომბინირებული, რომელიც შეიცავს ორივე ან სამეც კლექტორს. ის შესაძლებელია იყოს მთლიანად ან ნაწილობრივ გადახურული, უნდა ჰქონდეს საშუერი ცეცხლის წარმოსხმისათვის, გამაგრებული კვლიები. გარე მხრიდან, წელის აკვლების თხრითი და შემოვარდნილი ვუმბარის ჩასადება (მოსაცეცხლე) ორბო. ხიდრმე უნდა იყოს ისეთი, რომ მაქსიმალურად უწყობდეს ხელს ამოცანის შესრულებას, მაგრამ ჩაცეცხლელ მდგომარეობაში მყოფი მებრძოლის თუც ზემოთ ორბო კიდევ დაახლოებით 60 სანტიმეტრით. თუ ასეთ „ქელიის სორო“ ტანკო ვედეკის, ის ადარ ჩამომშობია. სოროს კვლიები სასურველია, იყოს ოდნეუ დაქნებული, ხოლო მისი გამაგრებისათვის შესაძლებელია ხის ან სხვა მასალების გამოყენება. მაკალითან, ტყის პირობებში ხელსაყრელია მივიხმაროთ წრალი ზეხი სარებისათვის, რომლებსაც ჩაუბობი „ქელიის სორო“ ფსკრებში 30 სანტიმეტრის ხიდრმეზე. თუ სარბი საკ-

**ორკაციანი „ქელიის სორო“ ნაწილობრივი გადაფარვით**



მარისად გუაქებს, მაშინ ამოვალავებთ კედლებს მთლიანად და დაემაგრებოთ თუ არა და, მაშინ დაეკონსტრუქტოვებთ ერთმანეთსაგან განსხვავებულ მანძილზე და შემდეგ წვრილი ტრეტებისაგან გაუკეთებთ სივრცის ღობისსამკვეთ ნაწილს. გასათვალისწინებელია, რომ არ შეიძლება ზეგის მასობრივი მოჭრა პოზიციების მახლობლად, რადგანაც ეს აუცილებლად მიაქვრის მოწინააღმდეგის ყურადღებას და გამოსაშვარების პირობებისა. აგრეთვე აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენს ნაწილობრივ წყლის მოცილების სისტემა: სორის ორგანო ამოთხრება 20-30-სანტიმეტრიანი სიღრმის არხი, რომელიც დაიცავს წყალს სორიში ჩასვლისაგან. აგრეთვე შეიძლება თუად „ქვილის სორის“ ფსკერზე ამოთხარის ნაწილობრივ წყლის შესაგროვებელი ორმო. მისი სიგრძე-სიგანე იქნება 60:45 სანტიმეტრი, ხოლო სიღრმე 60 სანტიმეტრი. ეს ორმოც გამაგრებული უნდა იყოს: ფსკერზე ჩაყვებით დიდი ქვები, ხოლო კედლებს გაემაგრებთ ბრტყელი რიფის ქვებით ან სარებით რიფსაც ორმო აუქსება წყლით მას ამოვალავით რაიმე ჭურჭლით მაგალითად, მათარებით გარდა ამისა, უნდა ამოთხარის შემოვლებული ფუმბარის ჩასვლები ორმო. ის უნდა მუდგარობდეს ყველაზე დრმა წერტილში, რათა ფეხის კვრითაც შესაძლებელი იყოს ფუმბარის შვგ ჩავლება. ორმო უნდა იყოს მრგვალი, 60 სანტიმეტრამდე სიღრმისა და საკმაო დიამეტრის იმისათვის, რათა ხელეუმბარა ჩაიტოს. დაბნის კუთხე არის დაახლოებით 30 გრადუსი და მამართულია ისე, რომ მუდგარობდეს ნამსხვრევები აკაცილოს. სორის ან სანგრის ორგანო კედლებს ნაყარი და დატკეპნილი მისისაგან ე. წ. დამცევი ბრუსტყერი. მისი სიგანე 1 მეტრამდე



ფსკერის დრმეზე, 30 სანტიმეტრი კი სიმაღლეში. ბრუსტყერში კეთდება სამხრები ცეცხლის წარმოებისათვის მიწინააღმდეგის მიმართულებით. გასათვალისწინებელია მკვლელების დასაბეზად გეოლოც, რომელიც დაახლოებით 50-სანტიმეტრიანი უნდა იყოს. მნიშვნელოვანი ელემენტებია აგრეთვე შენიღბვა. დაყრილი მინაშტრის ყურადღებას აქვია და მათეკეს. ამიტომ ის უნდა დათვაროს ისეთი მასალით, რომელიც შეიძლება ადგილიან. ამისათვის იყენებენ მისის ზედაპირის ნაჭრებს ზუნებრივი მცენარეული საფარი, მაგალითად, ბალახით ან სხვა მასალით.

ის ზედაპირიდან, ალაგებენ ბრუსტყერზე და მთლიანად ფარავენ მას. თუ პოზიციის გადახრების საშუალება არ არის, მაშინ სასურველია კედლებში ამოთხარის საფარი (მისის ზედაპირის პარალელურად) ან ან საარტიტორი დაბომბვისათვის. ის ისეთი საფარის იქნება, რომ მუდგარობდეს შეცდომის მასში შერბობა დაახლოებით 2 მეტრამდე სიღრმეში. საფარი ამოთხრება ფსკერის დრმეზე მაღლა, რათა არ დაიტბოროს ნაწილობრივ წყლით, მაგრამ მის ზემოთ უნდა დარჩეს საკმაოდ დიდი მისის

## პირდაპირი და არაპირდაპირი ხეხსლისაგან დახვიანთვის საჭირო მასალის სისქა, (სანტიმეტრებში)

ცხრილი №1

მასალა	პირდაპირი ხეხსლი			არაპირდაპირი ხეხსლი				
	მცირე კალიბრი 7.62მ	ППГ-7 ჭურჭი	107-დან 120-მდე რაკეტა	82 მ ნაღმი	120 მ ნაღმი ან ჭურჭი	152 მ რაკეტა ან ჭურჭი	500 კგ ბომბი	1000 კგ ბომბი
<b>ბეტონი</b>	30	76	91	10	13	15	15	18
<b>ხრუში. შიგრა ქვაბი</b>	51	61	91	25	46	51	92	40
<b>შინა ან ქვიზა</b>	107	198	244	30	51	76	92	102
<b>ხეალი ხის მასალა</b>	91	229	274	20	30	36	61	76
<b>დატკეპნილი თოვლი</b>	183	396	--	152	152	152	--	--


ფენა, მინიმუმ ერთი მეტრი, რათა გაუძლოს ძლიერ აფეთქებას.

პოზიციის გაუმჯობესებისათვის საჭიროა მისი გადახურვა ზემოდან, ძლივანად ან ნაწილობრივ გადახურვა უნდა იყოს საკმაოდ ძლიერი, რათა ჭურვის აფეთქება შუაკავის ამისათვის გამოიყენება 15-20 სმ დამატების მორები. შესაძლებელია ისინი ორ ფენად, უკარგიდან დაიღოს ერთმანეთზე. მორები უნდა გადასცილდეს სიროს ნაბირებს დაახლოებით 30 სანტიმეტრი თორე მხრიდან. მორი უნდა იყოს მისი ზედაპირის დონეზე ან უფრო დაბლა, თუ კიდევ რამეს დადება ქვიშებით ზემოდან. მორის ზემოდან აფეთქე ქვიშანი ტომრებს, გადააფეთქე ტომრებზე წყალ-გაუმტარ ქსოვილს და შემდეგ ძლივანად შენიღბავენ ბალახიანი მიწის ნაკვეთით. გადახურვა თავისი შენიღბით არ უნდა სცილდებოდეს მიწის ზედაპირს. „სირო“ შეიძლება გადაიფაროს წინიდან, უკნიდან, გვერდიდან ან ძლივანად. ამის არჩევა ხდება ვითარებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. კარგია, თუ „სირო“ იქნება გადახურული მოწინააღმდეგის მხარეს ისე, რომ დარჩეს მხოლოდ სამხერი, საიდანაც მებრძოლი აწარმოებს ცეცხლს მტრის მიმართ. უკან დარჩება მხოლოდ პატარა გასასვლელი, მაგრამ ამ შემთხვევაში მიხრება ის, რომ „სიროს“ გადახურვა იქნება მიწის ზედაპირზე გაცილებით მაღალი. „შეიღოს სირო“ შეიძლება იყოს როგორც ერთი, ასევე, ორკაციანი — შეტყევიან-ფრეკვისათვის ან ვუმპარმეტორცნელი-სათვის.

